საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 4 01/02/2016

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი“-სათვის“ დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე (რიყეში) მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპორტკომპლექსის შენობის და ეზოს სარგებლობის უფლებით უზუფრუქტის წესით ხოლო მოძრავი ნივთების- საოფისე და სპორტული ინვენტარის თხოვების ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრს“დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე (რიყეში) მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპორტკომპლექსის შენობა და ეზო /ს.კ. 36.01.31.042 /, ხოლო მოძრავი ნივთები- საოფისე და სპორტული ინვენტარი თხოვების ფორმით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე